წებოვანი ხაფანგის აწყობის ინსტრუქცია: ხეებზე დამაგრების შემთხვევაში

აზიური ფაროსანას (Halyomorpha halys), მწვანე ფაროსანას(Acrosternum hilare), ყავისფერფრთიანი მწვანე ბაღლინჯოსა (Plauti stali) და სხვა ბაღლინჯოებისთვის

საჭირო მასალები:

A. დრეკადი მავთული (3 ცალი)
B. წებოვანი ფირფიტა (ხაფანგი)
C. სატყუარა (ფერომონი), რომელიც შედგება 2 კომპონენტისგან (გრძელი და მოკლე)



1. წებოვანი ფირფიტის კუთხეში დამცავ ფენას ონდავ ავწევთ, ისე რომ არსებულ ხვრელში გავატაროთ დრეკადი მავთული

2. მავთული მივამაგროთ ხის ტოტზე, ისე რომ წებოვანი ფირფიტა მაქსიმალურად ეხებოდეს ხის ტოტს;

3. ფირფიტის დამაგრებული ნაწილის გასწვრივ მდებარე მეორე კუთხის ხვრელში ვამაგრებთ მეორე მავთულს, რომელსაც თავის მხრივ ვამაგრებთ იმავე ხის ტოტზე;

4. ორივე სატყუარას ისე ვათავსებთ ერთმანეთზე, რომ მათი ხვრელები ერთმანეთს ემთხვეოდეს, ისე რომ გრძელი ნაწილი მიმართული იყოს ზემოთ. ორივე ხვრელში გავატარებთ მესამე მავთულს.

5. წებოვანი ფირფიტის ორივე მხარეს მოვაშოროთ დამცავი ფენა;

6. იმავე მავთულით სატყუარას ვამაგრებთ წებოვანი ფირფიტის ცენტრში და საბოლოოდ ვკრავთ ტოტის გარშემო;

შენიშვნა: ფერმონების ეფექტურობის შემცირების თავიდან ასაცილებლად, სატყუარა არ უნდა ეხებოდეს ფირფიტის წებოვან ნაწილს.

7. ხაფანგის სამაგრ დრეკად მავთულზე ან მის სიახლოვეს ხის ტოტზე დავამაგროთ უნიკალურნომრიანი პლასტმასის ეტიკეტი ისეთნაირად, რომ ხაფანგის შეცვლის შემდგომ იგი რჩებოდეს ადგილზე სეზონის დასრულებამდე.

ხაფანგის აწყობა დასრულებულია.

წებოვანი ხაფანგის აწყობის ინსტრუქცია: ხის ბოძებზე დამაგრების შემთხვევაში

(იქ სადაც არ არის ხეები, ღობეები და სხვა ბუნებრივი სამაგრები, მაგ. მარცვლოვანი და ბოსტნეული კულტურების შემთხვევაში)

აზიური ფაროსანას (Halyomorpha halys), მწვანე ფაროსანას (Acrosternum hilare), ყავისფერფრთიანი მწვანე ბაღლინჯოსა (Plauti stali) და სხვა ბაღლინჯოებისთვის

საჭირო მასალები:

- A დრეკადი მავთული (3)
- B წებოვანი ფირფიტა (ხაფანგი)
- C სატყუარა (ფერომონი), რომელიც შედგება 2 კომპონენტისგან (გრძელი და მოკლე)
- D ბრტყელი ხის ბოძი, გახვრეტილი ბოლოთი (კომპლექტს არ მოყვება)

1. თავდაპირველად, სატყუარას ორივე კომპონენტის ხვრელში გავატაროთ ერთი მავთული, იგივე მავთული გავატაროთ ბოძში არსებულ ხვრელში და შევკრათ, გავკვანძოთ და დავამაგროთ სატყუარა;
2. წებოვანი ფირფიტის ორივე მხარეს მოვაშოროთ დამცავი ფენა;
3. მეორე და მესამე მავთულით დავამაგროთ წებოვანი ფირფიტა ხის ბოძზე, ისე რომ სატყუარა მოექცეს წებოვანი ფირფიტის ზევით.
   შენიშვნა: ფერმონების ეფექტურობის შემცირების თავიდან ასაცილებლად, სატყუარა არ უნდა ეხებოდეს ფირფიტის წებოვან ნაწილს;
4. ხაფანგი დამაგრებულია.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

ცხელი ხაზი: 1501

ელ.ფოსტა: info@nfa.gov.ge
www.nfa.gov.ge
მარშალ გელოვანის გამზ. 6,
0159, საქართველო, თბილისი

სურსათის ეროვნული სააგენტო

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE REAP